ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.06.2020

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 015/20

I შეკითხვა:

როგორ შეიძლება განისაზღვროს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები სასამართლოში საქმისწარმართვისას. კლიენტის პოზიციის გაჟღერება რამდენად არის მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედება, როდესაც ამით შესაძლოა პროცესის რომელიმე მონაწილის უფლება ილახებოდეს.

II ანალიზი:

ნებისმიერი სხვა პირის მსგავსად ადვოკატი სარგებლოს გამოხატვის თავისუფლებით, თუმც ამას დამატებით პროფესიული პასუხისმგებლობა აკისრია და მისი, როგორც ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებას არეგულირებს პროფესიული ნორმები:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“. აღნიშნული ვალდებულება ასევე განსაზღვრულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) 9.4 მუხლი,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან ...“.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38.4 მუხლის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

კანონით დაცულია ადვოკატის მიერ სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადება, რომელიც კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარეობს. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მითითება უკანონოა, სასამართლოს ან რომელიმე პროცესის მონაწილის შეურაცხყოფას ისახავს მიზნას, წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულების წარდგენა ხდება ამგვარი მოქმედებები არ არის დაცული კანონით და ის არ წარმაოდგენს კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედებას. ადვოკატის პროფესიული თავისუფლება კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად კლიენტის ინტერესების წარმოდგენაა. კანონი იცავსს ადვოკატს იყოს თავისუფალი სასამართლოს წინაშე წარმოთქმული სიტყვის ან დასმული შეკითხვის დროს და ასეთ შემთხვევაში, ადვოკატის ცენზურა დაუშვებელია.

III დასკვნა:

ადვოკატმა სასამართლოში პროცესის მონაწილე პირთა მიმართ გამოსვლისას კლიენტის ინტერესების შესაბამისად უნდა იმოქმედოს. კლიენტის უკანონო მითითება, მათ შორის იმგვარი მითითება, რაც პროცესო მონაწილე უფლებებს ლახავს, არ წარმოადგენს კლიენტის ინტერესების მიხედვით მოქმედებას და ეწინააღმდეგება ეთიკურ ვალდებულებას.

მითითება: რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.